სანოტარო აქტი

საქართველო

ორიათას ცამეტი წლის ოცდაცხრა აპრილს, მე, ნოტარიუსს ნიკოლოზ მალაშხიას, ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. თბილისი, პეკინის გამზ. № 15, პირველ სართულზე, მომმართა კახაბერ გიუნაშვილმა, რომელმაც განაცხადა რომ სურს ნინო სესიაშვილს (დაბ. 28. 04. 1981წ. პირადი № 01013012866, მცხ. ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, I მ/რ, კორპ. 25, ბ. 73) მიანიჭოს შესაბამისი უფლებამოსილება, შესაბამისი სანოტარო აქტის (მინდობილობის) შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე კახაბერ გიუნაშვილის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით: კახაბერ გიუნაშვილი - დაბ. 15. 11. 1968წ., ამერიკის შეერთებული შტატების პასპორტი № 425873471 გაც. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ 28. 05. 2007წ., მისი განცხადებით მცხოვრები ქ. თბილისი, ყაზბეგის 34ა, ბ. 3. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, დავადგინე ნების გამოვლენის ნამდვილობა და მინდობილობის შინაარსი. შემდეგ შევადგინე მინდობილობა, წავაკითხე და განვუმარტე მისი შინაარსი, მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე ის რომ, საკუთრების მიმნდობს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. მან წაიკითხა წინამდებარე მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი სრულიად შეესაბამება მის ნებას, რის შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მინდობილობა

ორიათას ცამეტი წლის ოცდაცხრა აპრილს, ამ მინდობილობით კახაბერ გიუნაშვილმა, შემდგომში წოდებული „საკუთრების მიმნდობი", ნინო სესიაშვილს შემდგომში წოდებული „მინდობილი მესაკუთრე" მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. მინდობილი მესაკუთრე უფლებამოსილია იყოს საკუთრების მიმნდობის წარმომადგენელი საჯარო, კერძო სამართლის იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში, სახელმწიფო ორგანოებში და კომერციულ დაწესებულებებში, მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, ქ. თბილისის მერიაში, ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის და დაგეგმარების სამსახურებში, ზედამხედველობის სამსახურში, გამგეობაში, სანოტარო ბიუროში, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საკუთრების მიმნდობის უძრავი ქონების, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლისა და აბასთუმნის ქუჩის გადაკვეთაზე პროექტის კორექტირებასთან დაკავშირებით, შეიტანოს განცხადება, მოაწეროს ხელი საკუთრების მიმნდობის მაგივრად და შეასრულოს სხვა მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესრულებასთან, უძრავი ქონების განკარგვის უფლების გარეშე.
2. მინდობილი მესაკუთრე უფლებამოსილია მიმართოს განცხადებით შესაბამის სამსახურებს, შეკრიბოს ყველა საჭირო დოკუმენტები, იყოს საკუთრების მიმნდობის წარმომადგენელი სსიპ იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, მიიღოს ამონაწერი, საკადასტრო გეგმა, ცნობა ქონებაზე საჯარო-სამართლებლივი შეზღუდვის არსებობის შესახებ, აიღოს აზომვითი ნახაზი (მათ შორის ელექტრონული დოკუმენტის სახით) შესაბამისი დაწესებულებიდან, მოაწეროს ხელი საკუთრების მიმნდობის მაგივრად და შეასრულოს სხვა მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესრულებასთან, უძრავი ქონების განკარგვის უფლების გარეშე.
3. მინდობილობა ძალაშია ორიათას თოთხმეტი წლის ოცდაცხრა აპრილამდე.
4. წინამდებარე მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში.
5. სანოტარო საზღაური, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507, მუხლი 31 გადახდილია 10.0 ლარი, საქართველოს საგადასახდო კოდექსის მუხლი 169-ის თანახმად დღგ 1.80 ლარი, საქართველოს მთავრობის დადგენილება №507, მუხლი 39-ის თანახმად რეგისტრაციის საფასური 2.0 ლარი, სულ გადახდილია 13.80 ლარი.

საკუთრების მიმნდობი----------

ნოტარიუსი

საქართველო ნოტარიუსი ნიკოლოზ მალაშხია GEORGIA NOTARY NIKOLOZ MALASHKHIA 62004000581

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

83841633883813

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N130422255

რეგისტრაციის თარიღი

29.04.2013 წ

ნოტარიუსი: ნიკოლოზ მალაშხია
მისამართი: ქ. თბილისი, პეკინის გამზ. # 15
ტელეფონი: 2377321; მობ: 599561242

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18